

სინის მთის ქართული ხელნაწერები¹

ბ-ნ ჰ. გრეგუარს, სინაზე
მოგზაურობის (იანვარ-მარტი 1906წ.)
50 წლისთავთან დაკავშირებით

სინის მთის ძველ, ცნობილ მონასტერს, რომელსაც ჯებელ მუსას – მოსეს მთის ძირას აღუმართავს მრავალსაუკუნოვანი კედლები, აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც ერთ-ერთი უმდიდრესი და ამავე დროს ყველაზე ძნელად ხელმისაწვდომია ბერძნული და ქრისტიანული აღმოსავლეთის ქვეყნების კოლექციებს შორის. რამდენ ბიზანტინისტსა თუ აღმოსავლეთმცოდნეს შურით ამოუოხრავს სინის უდაბნოში დაფლული ამ განძის გამო! მაშინ, როცა აქლემებით მოგზაურობდნენ, სუეციდან მონასტრამდე მისვლას ერთი კვირა უნდოდა. დღეს, მანქანით ორი დღე მაინც სჭირდება იმ 400 კმ-ის გავლას, რომელიც წმ. ეკატერინეს მონასტერს ქაიროდან აშორებს. მგზავრობის სირთულეებს თან ერთვის ყოფითიც, ბინისა და საარსებო საშუალებათა პრობლემა. ბიბლიოთეკის წესდება კრძალავს ხელნაწერთა ფოტოგრაფირებას. გასაგებია, რომ ასეთ პირობებში საკუთარი ძალების ანაბრად დარჩენილი მკვლევარისთვის პრაქტიკულად შეუძლებელია სინურ ხელნაწერთა გამოყენება.

მრავალ დაინტერესებულ მეცნიერს სიხარული მოჰგვარა 1950 წ. ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკის მიერ მატერიალური საშუალებებითა და სათანადო პერსონალით აღჭურვილი ექსპედიციის ხანგრძლივმა მივლინებამ სინაზე. ექსპედიციის მიზანს ხელნაწერთა გადაღება წარმოადგენდა. ამ ექსპედიციაში, რომელიც კონგრესის ბიბლიოთეკისათვის მოაწყო ამერიკის ჰუმანიტარულმა საზოგადოებამ და ალექსანდრიის ფარუხ I-ის უნივერსიტეტმა, მე ერთადერთი ევროპელი წევრი გახლდით. უნდა შემესწავლა მრავალი აღმოსავლუ-

1 G. Garitte, Les manuscrits géorgiens du Sinaï, La Nouvelle Clio, VII-VIII-IX (1955-56-57), 105-111. Scripta Disiecta, 1951-1977, I, 1980, 248-254.

რი ფონდი და წარმემართა ფოტოგრაფირება. ამრიგად, პატივი მხვდა, 1950 წლის 26 თებერვლიდან 11 მაისამდე სინაზე ვყოფილიყავი.

ამ ხნის განმავლობაში დეტალურად აღვწერე ყველა ქართული ხელნაწერი და სრულად გადავალეზინე ისინი.

წმ. ეკატერინეს მონასტერს ქართულ ხელნაწერთა ძვირფასი კოლექცია გააჩნია. ესაა ნაშთი სინაზე X ს-ში შექმნილი მნიშვნელოვანი ქართული სამონასტრო კოლონიის ბიბლიოთეკისა. წმ. ეკატერინეს მონასტრის ბერძნული, სირიული და არაბული ფონდები (მოკლედ და ალბათ ნაკლებად) გასული საუკუნის დასასრულს აღწერეს გერმანელმა და ინგლისელმა მკვლევარებმა. მას შემდეგ ისინი არაერთხელ შეისწავლეს სხვა ქვეყნებიდან ჩასულმა მეცნიერებმაც. მაგალითად, ბერძნული ხელნაწერები 50 წლის წინ, 1906 წლის იანვარ-მარტში შეისწავლა ჩვენი უფროსი სულისჩამდგმელმა, ბატონმა პ. გრეგუარმა. მან არაერთი საინტერესო ტექსტი აღმოაჩინა და საინტერესო ცნობები მიაწოდა ბ-ნ ერჰარდს ქართული ფონდის აგიოგრაფიული ხელნაწერების შესახებ.² შეიძლება ითქვას, რომ ქართული ფონდი ბოლო დრომდე უცნობი იყო დასავლელი მეცნიერებისთვის. როგორც ჩანს, სწორედ ამას ეძახდა განსვენებული პ. პეტერსი „სკანდალურ დავიწყებას, რომელსაც დასავლეთის ერუდიციამ ხანგრძლივად მისცა ქართული ლიტერატურა“.³

პირველი მკვლევრები, რომლებიც XIX ს-ის შუა წლებში სწავლობდნენ სინურ ხელნაწერებს (პ. უსპენსკი და კ. ტიშენდორფი) დიდად არ დაინტერესებულან ქართული ხელნაწერებით. ევროპელთათვის მათ მხოლოდ ერთი ან ორი ნიმუში „თარგმნეს“ ისინი არ იცნობდნენ ქართულ ენასა და ფილოლოგიას. ერუდიტები, თვით აღმოსავლეთმცოდნეებიც კი, მაშინ გაცილებით ნაკლებად იცნობდნენ მას, ვიდრე დღეს იცნობენ. თუ გამოვრიცხავთ განსვენებული რ. ბლეიკის 1927 წ. მოგზაურობას სინაზე (მან პ. პეტერსის თხოვნით გადაწერა სვიმეონ მესვეტე უფროსის ცხოვრების ქართული რედაქციის ერთი ნაწილი), სინის მთის ქართულ ხელნაწერთა შესწავლა რუს და ქართველ მეცნიერთა მონოპოლიად რჩებოდა.

2 I. Revue de l'Instruction Publique en Belgique, 49, (1906) p. 281-296 (Sin. Gr. 494, კირილე სკვიტოპოლისელის ცხოვრებაზე); Byzantinische Zeitschrift, 16, (1907), p. 204-240 წმ. დემეტრიანოს ხიტრის ცხოვრებაზე); Bulletin de Correspondance Hellénique, 31, (1907), p. 327-334 (მონასტრის თარიღის შესახებ); Byzantinische Zeitschrift, 18, (1909), pp. 500-501 (იმავე საკითხზე); A. Ehrhard, in: Texte und Untersuchungen, 50, Leipzig, 1937, p.LIII.

3 P. Peeters, Bulletin de la Classe des letters de l'Académie Royale de Belgique, 5^e série (1935) p. 138 = მისივე Recherches d'histoire et de philologie orientale, II (Subsidia Hagiographica, 27), Bruxelles, 1951, p. 19.

1883 წ. ა. ცაგარელმა სინაზე იმოგზაურა. 1888 წ. თავისი მოგზაურობის ანგარიშის დანართში რუსულ ენაზე გამოაქვეყნა წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართულ ხელნაწერთა ნუსხა⁴. ეს მომცრო, ძალზე მოკლე და ნაკლები კატალოგი, როგორც ჩანს, ავტორს დიდი სიჩქარით შეუდგენია. იგი ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში რჩებოდა ერთადერთ წყაროდ სინის მთის ქართული ხელნაწერების შესახებ. 1902 წ. ცნობილი ფილოლოგი და ენათმეცნიერი ნ. მარი (მისი სახელი დასავლელი საზოგადოებისთვის განსაკუთრებით ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც მისსავე თანამემამულემ, სტალინმა 1950 წ. შერისხა იგი) ქართულ ხელნაწერთა შესასწავლად სინაზე ჩავიდა. მას თან ახლდა თავისი მოწაფე, აწ განსვენებული ივ. ჯავახიშვილი. მასწავლებელმა და მოწაფემ შრომა გაინაწილეს და ერთად აღწერეს ქართულ ხელნაწერთა ფონდი. მარის აღწერილობა მისი გარდაცვალების (1934 წ.) შემდეგ, 1940 წ. გამოიცა,⁵ ჯავახიშვილისა კი 1947 წლამდე არ გამოქვეყნებულა.⁶

ეს ორი კატალოგი, რომლებიც ჩვენს ბიბლიოთეკებში დიდ იშვიათობას წარმოადგენს (ჯავახიშვილის აღწერილობის არსებობა სულ ცოტა ხნის წინ შევიტყვე, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორის ბ-ნი ა. შანიძის წყალობით, რომელმაც ამ აღწერილობის ერთი ეგზემპლარი გამომიგზავნა კიდევ, თუმცა, სამწუხაროდ იგი გამოუსადეგარია მათთვის, ვინც ქართული ენა არ იცის. გარდა იმისა, რომ ისინი დაწერილია რუსულ ენაზე, დაუდევრად გადმოგვცემენ ქართულ ტექსტებს, არ ხსნიან ქარაგმებს, სიტყვასაც არ თარგმნიან და არც ერთი თხზულების გაიგივებას არ ცდილობენ. მარი-ჯავახიშვილის შენიშვნები, რომლებიც მხოლოდ დაუმუშავებელ მასალას გვაწვდიან, ხელნაწერთა ფოტოებზე მეტად გამოსადეგი არაა. სინის ქართული ფონდი მნიშვნელოვანია არა იმდენად ხელნაწერთა რაოდენობით, რამდენადაც მათი ხარისხითა და სიძველით. დღეისათვის შემონახულია 85 ხელნაწერი. აქედან 1 (ფსალმუნი) პაპირუსზე, 54 ეტრატზე, 30 ქალალდზე. ეტრატზე შესრულებული 54 ხელნაწერიდან ერთი აშკარად დათარიღებულია IX საუკუნით, 14 – X საუკუნითა და 3 – XI საუკუნით. ქალალდზე შესრულებული ერთ-ერთი ხელნაწერი დათარიღებულია 1031 წლით.

4 А. Цагарели, Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае (Провосл. Палест. сб. IV, I), Ст. Петербург, 1888; ხელნაწერთა ჩამონათვალი იხ. დანართი, II, გვ. 193 – 240.

5 Н. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, Москва-Ленинград, 1940.

6 ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (საქართველს სსრ მეცნ. აკადემია. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი), თბილისი, 1947.

ამ ხელნაწერთა სიძველე კოლექციას განსაკუთრებულ ხასიათსა და მნიშვნელობას სძენს. ცნობილია, რომ ქართულად თარგმნილ ხელნაწერთა უმრავლესობა ემყარება ბერძნული ტექსტების სხვადასხვა რედაქციებს, რომლებითაც ათონური სკოლის ცნობილმა მთარგმნელებმა – ექვთიმემ († 1028), გიორგიმ († 1065), ეფრემ მცირემ († დაახლ. 1100), არსენ იყალთოელმა († დაახლ. 1030) და მათმა მიმდევრებმა X ს-ის დასასრულიდან მოყოლებული გაამდიდრეს ქართული ლიტერატურა. მათი შედარებით გვიანდელი თარიღის გამო, ეს ჩინებული თარგმანები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მაინცდამაინც საინტერესო არაა ადრეული ქრისტიანობისა და პატრისტიკული პერიოდის ბერძნული ტექსტების ისტორიის შესასწავლად. სინურმა ხელნაწერებმა კი, რომელთაგან ბევრი ბიზანტინისტ მთარგმნელთა მოღვაწეობამდეა შექმნილი, შემოგვინახა ძველი თარგმანები, რომლებსაც შესაძლოა ქართული ლიტერატურის დასაბამთანაც მივყავართ. ამით სხვაობს სინური ფონდი ივირონის (ათონის მთა) თუ იერუსალიმური ფონდებისაგან. იგი, ძირითადად, ათონამდელია. თითქმის ყველა იქ დაცული ტექსტი პირდაპირ თუ არაპირდაპირ უკავშირდება ბერძნულ დედანს. ბევრი მათგანი დამოწმებულია სინის გარეთ ნაკლებადგავრცელებულ ხელნაწერებში, ბევრიც მხოლოდ სინური ხელნაწერებითაა ცნობილი. პერიფერიულ ზონებს შეუძლიათ ხანგრძლივად შემოინახონ როგორც ენის, ასევე ტექსტის ისტორიის თვალსაზრისით არქაული ელემენტები, რომლებიც ცენტრალურ ზონებში მეტ-ნაკლებად სწრაფად იკარგება. ქართული ხელნაწერებისათვის სინურმა ბიბლიოთეკამ შეასრულა ეს კონსერვატიული როლი. ყოველივე ეს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართული ფონდის მიმართ. იგი საინტერესოა არა მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის⁷, არამედ ბიბლიური ტექსტების კრიტიკული შესწავლის, ბერძნული პატროლოგიისა და ბიზანტიური ფილოლოგიის თვალსაზრისითაც. მე უკვე მქონდა შესაძლებლობა „მუზეონის“ (1951-1955 წწ.) სტატიათა სერიაში წარმომედგინა სინის მთის ქართული ხელნაწერების ტექსტები. სერიოზული მაგალითების საფუძველზე მეჩვენებინა, რომ ამ ტექსტების მნიშვნელობა სცილდება ქართული ფილოლოგიის ჩარჩოებს. მე სათითაოდ წარმოვაჩინე სინის მთის ქართული ფონდის სიმდიდრე. ვცდილობდი, რაც შეიძლება სწრაფად, სრულად და ზუსტად გამომექვეყნებინა სინის ქართული კოლექციის ყველა ლიტერატურული ხელნაწერი, რაც ესოდენ საჭიროა

7 მე არ შევჩერდები ამ განსაკუთრებულ თვალსაზრისზე. მივუთითებ მხოლოდ მ. თარხნიშვილის მიერ ჟურნალში Le Muséeon, n. 68 (1955), p. 369-384, გამოთქმულ მოსაზრებებს.

ჩვენი დისციპლინის ინტერესებისთვის. 1959 წ. არსებული დედნების მიხედვით ჩვენ მიერ გაკეთებული აღწერილობისა და კონგრესის ბიბლიოთეკის მიკროფილმების (მათზე ყველა ტექსტი სრული სახითაა წარმოდგენილი) საფუძველზე შევადგინე დასაბუთებული და ამომწურავი კატალოგი. ახლა ეს კატალოგი იბეჭდება და რამდენიმე თვეში გამოქვეყნდება Corpus Scriptorum Christianorum Orientalium-ის Studia-ში. ხელნაწერთა აღწერისას ვცდილობდი ნაშრომი ადვილად გამოყენებადი და სასარგებლო ყოფილიყო იმათთვისაც, ვინც ქართულ ენას არ ფლობს. „რამდენჯერ გაგვიცრუა იმედი იმისმა კონსტატაციამ, რომ ორიენტალისტები მუშაობენ მხოლოდ ერთუდიტო მცირერიცხოვანი ჯგუფისათვის, რომელიც ამ სპეციალურ ნაშრომებში ერკვევა;“ – წერდა გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ნეტარხსენებული ე. ჰონიგმანი⁸. მსურდა, უპირველეს ყოვლისა, ეს ნაკლი ამეცილებინა თავიდან. შევეცადე ყველა ციტირებული ქართული ტექსტის სრული და ზუსტი (ლათინური) თარგმანი მომეცა, ე. ი. მეთარგმნა ყოველი თხზულების სათაური (არსებობის შემთხვევაში ქვესათაურიც), დასაწყისი და დასასრული (ყოველი ტექსტისა), გადამწერის გვარი და მინაწერები (ყველა მათგანი თარგმნილია სრულად). შევეცადე ყველა დასახელებული ტექსტის გაიგივებას არა მხოლოდ ქართული ტექსტის მითითებით, თუკი ასეთი არსებობს (და რაც შედარებით იშვიათი ფაქტია), არამედ ვუთითებდი იმ ორიგინალურ ტექსტსაც (ძირითადად ბერძნულს), საიდანაც მომდინარეობს ქართული. ცხადია, ტექსტების გაიგივებას დიდი შრომა დასჭირდა, მაგრამ მე ამისთვის დრო არ დამნანებია, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს იყო აღმოსავლური ქრისტიანული ხელნაწერების აღწერილობისთვის აუცილებელი ელემენტი და რომ კატალოგი სათანადო სამსახურს ვერ გაუწევდა ბიზანტინისტებს, აღმოსავლეთმცოდნეებსა თუ ქართველოლოგებს, თუკი ზუსტად არ მიაწვდიდა ცნობებს მათთვის საინტერესო თხზულების იდენტიფიკაციის შესახებ. ჩემი მიზანი არაა აქ ჩამოვთვალო სინის მთის ქართულ ხელნაწერებში შემონახული ყველა შესანიშნავი ტექსტი, მაგრამ ვისურვებდი დამესახელებინა რამდენიმე მათგანი, რომლებიც არა მხოლოდ ქართულის სპეციალისტებს დააინტერესებს. ახალი აღთქმის ხელნაწერებს შორის, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია X ს-ის ოთხი ოთხთავი (n. 15, 16, 30, 38), რომელთა ტექსტიც ფასდაუდებელია სახარებათა ძველი ქართული და სომხური რედაქციების ისტორიისათვის და ჯერჯერობით სავსებით შეუსწავლელია. აგრეთვე, „საქმე მოციქულთა“-ს (n. 31, 39) შესაბამისად 977 და 974 წწ.) ორი ასლი, რომელთა ტექსტიც ცოტა ხნის წინ ვთარგ-

8 Histoire Ecclésiastique, 48 (1953), p. 151.

მნე და გამოვეცი.⁹ ისინი მეტად ძველია, გვაწვდიან მნიშვნელოვან ცნობებს „საქმე მოციქულთა“-ს კრიტიკული ტექსტისა და ძველ ქრისტიანულ აღმოსავლეთში მისი გავრცელების შესახებ. სინის მთის ქართულ ფონდში კარგადაა წარმოდგენილი აგიოგრაფია. 982 წელს შევსებული n. 6 შეიცავს მრავალ ისეთ თხზულებას, რომელიც მხოლოდ მასშია შემონახული. ასეთებია „იაკობის პირველსახარება“; „სვიმეონ მესვეტე უფროსის ცხოვრება“; (რომლის ლათინური თარგმანი და გამოცემა მოვამზადე CSCO-სთვის), „ივლიანე საბას ცხოვრება“ თეოდორეტის მიხედვით, ტექსტები წმ. ეპიფანეს შესახებ (იხ. – BHG 596-599) და ფრაგმენტი სტეფანე საბაწმიდელის ცხოვრებიდან. ეს ცხოვრება ცნობილია მხოლოდ ერთადერთი ბერძნული ხელნაწერით.¹⁰ X ს-ის კრებული n. 11 წარმოადგენს სქელტანიან კრებულს და მოიცავს 29 მარტვილის ცხოვრებას, რომელთა შორის ბევრი ერთადერთი ქართული რედაქციაა, აგრეთვე რამდენიმე ტექსტს, რომელთა ბერძნული დედანიც დაკარგული უნდა იყოს. კრებულში შეტანილია „წმ. გურიას, სამონას და აბიბოს მარტვილობა“; რომელიც ზუსტად არ მისდევს ვან დობშუტცის მიერ გამოქვეყნებულ არც ერთ ტექსტს, „წმ. ანასტასიას მარტვილობა“; „სამი ბაბილონელი ყრმის წმ. ნაწილების აღმოჩენა“; „წმ. ბიქტორისა და სტეფანიას მარტვილობები“ და „წმ. პროკოფი კესარიელის ძველი მარტვილობა“ (იგი n. 62 – შიცაა შემონახული), რომელიც ბერძნულად დაკარგული ევსევის De martiribus Palestinae-ს ვრცელი რედაქციის პირველი თავის თარგმანია¹⁰. სხვა ხელნაწერები მოიცავენ აგიოგრაფიული ტექსტების საინტერესო რედაქციებს: კირილე სკვითოპოლელის „წმ. ექვთიმეს ცხოვრებას“ (n. 43, X ს.). „სვიმეონ მესვეტე უმცროსის ცხოვრებას“ (n. 46, 35 X ს.), „წმ. დიმიტრის სასწაულებს“ (n. 71, 80, 91) და ა. შ.

არანაკლებ საინტერესოა პატრისტიკული და ასკეტური ტექსტების კრებულებიც. კერძოდ, იოანე ოქროპირის, ეფრემ ასურის, ტიმოთე იერუსალიმელისა და სხვათა სახელით მათში შესულია მრავალი ჰომილია თუ სწავლანი, რომელთა დედნებიც შემონახული არ უნდა იყოს. 864 წელს პალესტინაში, საბაწმიდის მონასტერში გადაწერილი კრებული 32-57-33 უძველესი დათარიღებული ქართული ხელნაწერია. ეს უძველესი კრებული მოიცავს 50 ჰომილიას მოძრავი და უძრავი დღესასწაულებისათვის (ბ-ნ ერჰარდის სიტყვებით, 35 „პანეგირიკონს“). კრებული n. 35 (X ს.) ვრცელი ასკეტური კრე-

9 L'ancienne version géorgienne des Actes des Apôtres d'après deux manuscrits du Sinai (Bibliothèque du Muséon, Louvain, 1955).

10 ჩემ მიერ თარგმნილი ქართული ტექსტი, რომელშიაც მოცემულია საინტერესო ცნობები იოანე დამასკელის გარდაცვალების შესახებ, იხ. Le Meséon, 67 (1954), p. 71-92.

ბულია და მრავალ იშვიათ და უნიკალურ თხზულებას შეიცავს: მაგალითად, წმ. ანტონის მე-11, წმ. არსენის მე-12 და წმ. ამონას ეპისტოლეებს, ევაგრე პონტოელის ტექსტებს (ქართულად მხოლოდ ეს ტექსტებია თარგმნილი), მონაზონ აბრაამის ქადაგებას, წმ. ბასილის კანონთა მცირე კრებულს, სექსტუსის სენტენციებს და ა.შ. IX-X სს. საბაწმიდის მონასტერში შედგენილმა n. 97 კრებულმა შემოგვინახა წმ. ეფრემის 25 ჰომილია, რომლებიც სირიულიდან უნდა იყოს თარგმნილი და რომელთა უმრავლესობაც სხვა ენაზე უცნობია. მოყვანილი რამდენიმე მაგალითიც კი საკმარისია იმისათვის, რომ სინის მთის ქართულმა ხელნაწერებმა მიიპყროს ბიბლიოლოგთა, აგიოგრაფთა, პატროლოგთა და ბიზანტინისტთა ყურადღება. თუ ჩემი კატალოგი ამ მეცნიერებს რაიმე სამსახურს გაუწევს, რამდენიმეწლიანი შრომა დასანანი არ დამრჩება.

*ფრანგულიდან თარგმნა
ცისანა ბიბლიეიშვილმა
კავკასიის უნივერსიტეტი*